



**პრეზიდიუმის გადაწყვეტილება**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს  
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ**

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა შემდეგი შემადგენლობით:**

- ერეკლე მექვაბიშვილი** - გენერალური აუდიტორი, პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე;
  - დავით გოგიჩაიშვილი** - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
  - ზაზა შეყილაძე** - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
  - სოფიო დვალიშვილი** - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
  - თორნიკე შერმადინი** - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
  - გიორგი კეკელიშვილი** - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
  - ნატო ზაალიშვილი** - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
  - გიორგი გაჩეჩილაძე** - ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
  - მარიკა ნაცვლიშვილი** - სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი;
  - დავით შავგულიძე** - ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის სამსახურის უფროსი.
- განიხილა აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივარი.

**საჩივრის ავტორი:** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო/საჩივრის ავტორი).

**წარმომადგენელი:** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი - დავით ესათია (მინდობილობა N342/02 19.07.2018); ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - ლელა უზარაშვილი (მინდობილობა N342/02 19.07.2018); ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მამუკა გოგია (მინდობილობა N342/02 19.07.2018); იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ლია ოთარაშვილი (მინდობილობა N342/02 19.07.2018).

**მოწინააღმდეგე მხარე:** აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

**წარმომადგენელი:** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ნოე ქაშიბაძე; წამყვანი აუდიტორი ნაია ხოფერია; უფროსი აუდიტორ-ასისტენტი ეთერ კაცაძე; აუდიტორ-ასისტენტი ნინო ბრეგვაძე.

**დავის საგანი:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 13 ივნისს დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების N35/36 აუდიტის ანგარიში“.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმს 2018 წლის 29 ივნისს N290/02 საჩივრით მომართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N5666/29) და მოითხოვა N35/36 აუდიტის ანგარიშში ცვლილებების განხორციელება, კერძოდ:

1. საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (თავი 1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე, პუნქტი 1.2.1.1. – სახანძრო სიგნალიზაცია/კაპიტალური ხარჯი, გვ. 7) არსებულ მოსაზრებას, რომ შენობა-ნაგებობების სახანძრო სიგნალიზაციით აღჭურვა არ განეკუთვნება კაპიტალიზებად ხარჯს და იგი უნდა აღრიცხულიყო ცალკე აქტივებად ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-სა და დანართ ფორმა N5-ში ანგარიშზე – „(2122) სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“.

საჩივრის ავტორის განმარტებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, შენობა-ნაგებობების (3111) კატეგორია მოიცავს შენობა-ნაგებობების, მათ შორის, ახლადაშენებული შენობა-ნაგებობების ღირებულებას, ასევე შენობის ასაშენებლად შემოგარენის დასუფთავებისა და მომზადების ხარჯებს. ამასთანავე, ყველა მოწყობილობის, აპარატურისა და ხელსაწყოების ხარჯებს, რომლებიც ამ შენობა-ნაგებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ (თავი V. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებები). ამავე კლასიფიკაციის მე-5 თავში განმარტებულია, თუ რას წარმოადგენს მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (3112) და საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „მანქანა-დანადგარები, რომლებიც შეადგენენ შენობების და სხვა ნაგებობების განუყოფელ ნაწილს, შედიან ამ შენობების ან ნაგებობების ღირებულებაში და არ მიეკუთვნებიან მანქანა-დანადგარების კატეგორიას“. ამასთან, მართალია თავისი არსით სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა არის მანქანა-დანადგარი, თუმცა იგი არ არის მიკუთვნებული მანქანა-დანადგარების კატეგორიას (3112) და რადგან მოხდა მისი სტაციონარულად განთავსება შენობაზე, შესაბამისად, იგი წარმოადგენს შენობა-ნაგებობის განუყოფელ ნაწილს და შედის მის ღირებულებაში.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტორები აპელირებენ „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 24-ე მუხლის მე-14 – მე-16 პუნქტებს და ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ აქტივის ერთიანად აღრიცხვა მხოლოდ არსებითი გაუმჯობესების (შენობა-ნაგებობის მოდიფიკაცია და ა.შ.) შემთხვევაში ხორციელდება. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული შეფასებით უგულებელყოფილ იქნა ამავე მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი. კერძოდ, ყველა იმ მოწყობილობის, დანადგარის, აპარატისა და ხელსაწყოს ღირებულება, რომლებიც ძირითადი აქტივების განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს, ემატება ამ აქტივების ღირებულებას. ასევე მიუთითებს, რომ სახანძრო სიგნალიზაცია, როგორც

სისტემა, აღქმული უნდა იქნეს იმგვარად, რომ ხდება შენობის განუყოფელი ნაწილი, შედის მის ღირებულებაში და ხორციელდება მათი ერთიანად აღრიცხვა.

**2.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 1.2.2. მატერიალური მარაგები გვ. 9-10) არსებულ ჩანაწერს, კერძოდ, არაფინანსური აქტივების მიღება და გასვლა უნდა ფორმდებოდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ და უნდა ხორციელდებოდეს გასავლის საბუთების წარმოება და მარაგების გასვლაზე კონტროლი, რაც დარღვეულ იქნა სამინისტროს მხრიდან და ვერც სხვა ალტერნატიული საშუალებით იქნა მოპოვებული აუდიტორების მიერ რწმუნება 2018 წლის იანვარში გასული მარაგების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სადავო აქტივები (8427,71 ლარის ღირებულების) წარმოადგენს ტრანსპორტის ხარჯებს და აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტორებს სამინისტროს მიერ წარედგინა განცხადება სახელმწიფო შესყიდვაზე; ხოლო სახელმწიფო შესყიდვების პროცესში წარმოებული დოკუმენტაცია რეგისტრირდება ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში, საიდანაც ხდება იდენტიფიცირება, თუ რომელ ავტომობილზე რა ტიპის მომსახურება, სათადარიგო ნაწილები თუ საპოხი მასალა იყო საჭირო. ასევე ხელმისაწვდომია ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები შესრულებულ სამუშაოზე, დეფექტური აქტები (იხ. დანართი N1. დეფექტური აქტები - 13 ფურცელი).

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გაურკვეველია, რა სახის ალტერნატიული საშუალება იგულისხმება და რაში გამოიხატება სამინისტროს დარღვევა.

**3.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 1.2.3. ავტომანქანის ექსპლოატაციის ხარჯი გვ.10) არსებულ მოსაზრებას, რომ ავტომანქანის საბურავების შეძენის დოკუმენტაციაში არ იყო მითითებული, კონკრეტულად რომელი ავტომანქანისათვის იყო გათვალისწინებული მისი შეძენა/მონტაჟი, რის გამოც შეუძლებელი გახდა გასული მარაგების თაობაზე რწმუნების მოპოვება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სამინისტროს მიერ 2017 წელს გაფორმდა 3 (სამი) ხელშეკრულება საბურავების სახელმწიფო შესყიდვაზე კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებში, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 1391.20 ლარი. სულ შესყიდულ იქნა 10 (ათი) საბურავი. აღნიშნული შესყიდვების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კი წარედგინა აუდიტის ჯგუფს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მტკიცებულების სახით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებებიდან, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს, ნათლად ჩანს სამინისტროს საკუთრებაში არსებულ რომელ კონკრეტულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე უნდა გაფორმებულიყო კონკრეტული სახეობის საბურავის შეძენა კონკრეტული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, ვინაიდან აღნიშნული ტენდერი ცხადდება კონკრეტული სახეობის საბურავების მიხედვით (დანართი N2 -19 ფურცელი). ასევე განმარტავენ, რომ მოთხოვნა შესყიდვის განხორციელებაზე წარმოადგენს პირველად დოკუმენტს, რომელიც რეგისტრირდება ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში და მისი გაყალბების ალბათობა ნულის ტოლია.

**4.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება:

ა) აუდიტის ანგარიშში (თავი 2. სხვა გარემოებები, პუნქტი 2.2.2. უძრავი ქონების მიზნობრივი გამოყენება გვ. 14-15) ასახულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწები (მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთები სოფელ რუხში და სოფელ რიყეში) წლების განმავლობაში ფაქტობრივად დაუტვირთავი იყო, არ მომხდარა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება და სახელმწიფო ქონება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები) არაეფექტიანად გამოიყენებოდა.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 2014 წლის 10 თებერვლის N5/4541 წერილის თანახმად, გადაეცა მდინარე ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთები სოფელ რუხში - 321,76 ჰა (ს/კ N43.10.06.035) და სოფელ რიყეში - 95.1 ჰა (ს/კ N43.09.03.240) – სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, ყოველგვარი მიზნობრიობისა და დამატებითი პირობების გარეშე. სარგებლობის უფლება რეგისტრირებულ იქნა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მიუხედავად უპირობოდ გადმოცემული მიწებისა, მასზედ მოსარგებლის მიერ იგეგმებოდა ბიზნესპროექტების განხორციელება (საკითხი ეხება სოფლის მეურნეობის განხრით შემუშავებულ 7 პროექტს), თუმცა პრაქტიკული პრობლემების გამო (წლების განმავლობაში იყო მცდელობა მიწის ნაკვეთზე მოყვანილი ყოფილიყო სიმინდი, მაგრამ მიწის უნაყოფობის გამო ვერ მოხერხდა), დღეის მდგომარეობით მიწაზე ვერ განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები. ამასთანავე, აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აქტივობის შედეგად, შესაძლებელი გახდა 105 ჰა ფართობის შპს „ენგური 2015-ზე“ ლიცენზიით გაცემა (ქვა-ღორღის მოპოვებაზე) და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმება. სამინისტრო სამომავლოდ აქტიურად გეგმავს მიწის პროდუქტიულად გამოყენების საკითხის განხილვას.

**ბ)** აუდიტის ანგარიშში მითითებულ მოსაზრებას, სამინისტროს მიერ გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანში, სამხედრო ქალაქ N1-ში მდებარე 513 კვ.მ მიწის ნაკვეთის არამიზნობრივად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით (სამინისტროს მიწის ნაკვეთი სარგებლობაში გადაეცა 2017 წლის 28 აპრილს), კერძოდ, 2017 წელს აღნიშნულ ფართში სამინისტროს მიერ არანაირი პროექტი არ განხორციელებულა და შესაბამისად, არაეფექტიანად იქნა გამოყენებული სახელმწიფო ქონება. საჩივრის ავტორი თვლის, რომ აუდიტმა შეგნებულად ან მექანიკურად არ გაითვალისწინა და დასკვნაშიც არ მიუთითა სამინისტროს წერილი (N385/02, 07.07.2017წ.), რომლითაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეთხოვა თანხმობის გაცემა, ინვესტორის - თურქული ბიზნესჯგუფ „თიკას“ მიერ წარმოდგენილი პროექტის განსახორციელებლად მოცემული ფართის საჯარო ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე, რაზედაც სააგენტომ წერილობით უარი განაცხადა (სააგენტოს წერილი N5/46493, 12.09.2017).

საჩივრის ავტორს მიუღებლად მიაჩნია აუდიტორთა შეფასება სამინისტროს მიერ მის სარგებლობაში გადმოცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების არაეფექტიანად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით.

**5.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 2.5. რეინვესტირებული თანხები გვ. 16-17) ასახულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ: კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე რეინვესტირებულ 79,216.00 ლარზე საწარმოებს შესყიდვის ანგარიშფაქტურები წარმოდგენილი ჰქონდათ მხოლოდ 53761 ლარზე. ამასთან, რიგ შემთხვევაში დაფარული იყო ისეთი ხარჯები (საბრუნავი კაპიტალი, სარემონტო სამუშაოები, საოფისე ინვენტარი), რომელიც შეიძლებოდა შესყიდულიყო 2017 წლის საოპერაციო ხარჯის ფარგლებში და არ საჭიროებდა დამატებითი სახსრების რეინვესტირებას, რაც მიუთითებს, სამინისტროს მიერ რეინვესტირებული თანხების აქტიური ანალიზისა და მონიტორინგის განუხორციელებლობაზე.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აუდიტორთა მიერ არ იქნა გათვალისწინებული კომერციული საწარმოს ზოგადი საქმიანობის სპეციფიკა, რომელიც გარდა წმინდა პროფილურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯებისა, ითვალისწინებს უამრავ მიმდინარე, საწარმოზე არადამოკიდებულ სხვადასხვა გარემოებიდან სრულიად გაუთვალისწინებელ დამატებით ხარჯებს (მაგალითად, სტიქიური გარემოებებიდან მიღებული ზარალი), ასევე კომერციულ ბაზარზე ინვენტარის, მოწყობილობა-დანადგარების, სხვადასხვა საჭირო მასალისა თუ ძვირადღირებული აპარატურის ფასების მკვეთრ ცვალებადობას მიმდინარე ინფლაციის პირობებში. ამასთან, აუდიტორების მიერ არ იქნა გათვალისწინებული შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების და შესყიდვის განხორციელების სპეციფიკა. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვა უმეტეს შემთხვევაში ხორციელდებოდა ტენდერის საშუალებით (მცირე გამოწვევისით - პირდაპირი შესყიდვის წესით), რაც შესაძლებელია ვერ განხორციელებულიყო მიმდინარე საანგარიშო წელს შემსყიდველისთვის მომწოდებლის მიერ

ფასების სიძვირის ან/და შესყიდვის ობიექტის (მოწყობილობა-დანადგარის ან/და სხვ.) ხარისხის ან/და სხვა შეუსაბამობის გამო. ასეთ შემთხვევაში საანგარიშო წლის ბოლოს დარჩენილი შესყიდვისთვის განსაზღვრული თანხა აისახება საწარმოს ბალანსზე ნაშთის სახით ან თუ ვერ განხორციელდა დანიშნულებისამებრ შესყიდვა, საწარმოს ხელმძღვანელობა წერილობით მიმართავს სამინისტროს სარეინვესტიციო თანხის მიზნობრივი გამოყენების შეცვლასთან დაკავშირებით სხვა საჭირო, იმ დროისათვის საწარმოს წინაშე აქტუალური პრობლემებისა თუ საკითხების გადასაჭრელად.

ასევე, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორთა მოსაზრებას, რომ 2017 წლის მიმდინარე შემოსავლები შეადგენდა 1 986 680 ლარს, რაც იძლეოდა რეინვესტირების გარეშე მიმდინარე შემოსავლებიდან შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობას და თვლის, რომ აუდიტორების მიერ ცალსახად, არაობიექტურად იქნა შეფასებული ან სწორად ვერ შეფასდა კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სპეციფიკა.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ რეინვესტირება განხორციელდა 2017 წლის მაისში, როდესაც საწარმოებში იმ პერიოდში ფაქტიური შემოსავლები ბევრად ნაკლებ თანხას შეადგენდა, ვიდრე 2017 წლის ბოლოსთვის. ამასთან, რეინვესტირების პერიოდისათვის საწარმოთა ხელმძღვანელობას ვერ და არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა საერთო შემოსავლების რაოდენობა საანგარიშო წლის ბოლოსთვის ან თუნდაც რეინვესტირების განხორციელების პერიოდისათვის და აქედან გამომდინარე, დაეგემა და განეხორციელებინა საჭირო შესყიდვები მოცემული პერიოდისათვის. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ბიზნესგეგმებით შესაძლოა განისაზღვროს საანგარიშო წლის განმავლობაში მიახლოებითი შემოსავლების, ხარჯების, მოგებისა თუ სხვა ფინანსურ-ეკონომიური მაჩვენებლების სავარაუდო მოცულობა, მაგრამ არა დაზუსტებული.

საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება აუდიტის სამსახურის რეკომენდაციას რეინვესტირებასთან დაკავშირებით მონიტორინგის შესახებ და განმარტავს, რომ ყველა საწარმომ, სადაც განხორციელდა რეინვესტირება, სამინისტროში წარადგინა არგუმენტირებული და სრულად დასაბუთებული თხოვნა/მოთხოვნა მათთვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების, სხვა მასალების შესყიდვის შესახებ. რეინვესტირების განხორციელებამდე საკითხს სწავლობს შესაბამისი სამსახური, რის შემდეგაც მზადდება წინადადებები და საკითხი განსახილველად გადაეცემა სამინისტროს მიერ 100%-იანი წილით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიას. კომისიის მოსაზრება (წინადადებები) წარედგინება მინისტრს შემდგომი რეაგირებისთვის. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ უფრო მკაცრი და გამჭვირვალე კონტროლის მექანიზმი და მონიტორინგი რეინვესტირების განხორციელების დროს წარმოუდგენელია და ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კატეგორიულად არ ეთანხმება აუდიტორის მიერ გაკეთებულ შეფასებებს რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებულ ნაწილში.

**6.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 2.6.1. დანამატი გვ.18) არსებულ ჩანაწერს სამინისტროს თანამშრომლებზე დანამატის არამიზნობრივად გაცემასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ საჯარო მოხელის ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოებს, ასევე კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, რომელთა განსაზღვრა შესაძლებელია მოხელის ზეგანაკვეთური მუშაობის და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების შინაარსიდან გამომდინარე. ამასთანავე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის (1997 წლის რედაქციის) თანახმად, „სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელეს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს სხვა დანამატები“. დღეს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად, „მოხელეს ამ კანონით გათვალისწინებული სახელფასო დანამატი ეძლევა: ა) ზემდგომი თანამდებობის პირის დავალებით შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს შესაბამისად; ბ) დამატებითი ფუნქციების დაკისრებისას, მათ შორის,

დამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო“.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში სამინისტროს თანამშრომელს, მინისტრის ბრძანების შესაბამისად, დამატებით დაევალა ელექტროგაყვანილობის მონიტორინგი და სარემონტო სამუშაოების ჩატარება, გაზოპერატორის მოვალეობის შესრულება. აღნიშნული თანამშრომლისათვის შტატით დაკისრებული ფუნქციები იყო საორგანიზაციო და ზოგადი ხასიათისა - პირი უზრუნველყოფდა სხვადასხვა შესაბამის სამსახურთან კომუნიკაციას სამსახურის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით და მისი ფუნქცია არ იყო სარემონტო სამუშაოების პირადად განხორციელება. ამდენად, მისთვის დაკისრებული სამუშაოების შესრულებით და შესაბამისი დანამატის გაცემით, არ დარღვეულა მოქმედი კანონმდებლობა. თუ ზემოაღნიშნულ პირს არ დაეკისრებოდა დამატებითი ფუნქცია, სამინისტროს მაინც მოუწევდა სხვა პირის მომსახურებით სარგებლობა და მისთვის შესაბამისი თანხის გადახდა. შესაბამისად, სამინისტროს ქმედება მიმართული იყო ხარჯების ოპტიმიზაციისა და თანამშრომლის წახალისებისკენ. სამინისტროს მიერ სახელფასო დანამატის გაცემა კონკრეტულ თანამშრომელზე განხორციელდა მის მიერ დამატებით შესრულებული, ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო. შესაბამისად, სამინისტროს მიერ მასზე გაცემული ხელფასისა და დანამატის ჯამური მოცულობა გაცილებით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე იმავე კვალიფიკაციის პირები კერძო ან სხვა სექტორში იღებდნენ.

**7.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 2.6.2. პრემია, გვ.18) არსებულ მოსაზრებას, რომ სამინისტროს მიერ პრემიების გაცემასთან დაკავშირებულ ბრძანებაში მითითებული არ იყო ინფორმაცია წლის განმავლობაში თანამშრომლებზე გაცემული პრემიების შესახებ, რომლითაც დარღვეულ იქნა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნა.

საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პრემია გაცივდა აფხაზეთის ა/რ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და დასაბუთების საფუძველზე. დასაბუთებაში უნდა მიეთითოს ოდენობა, მისი პროცენტული მიმართება თანამდებობრივ სარგოსთან, ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში გაცემული პრემიის შესახებ. ამავე დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, აფხაზეთის ა/რ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ. სამინისტროს მიერ არ დარღვეულა პრემიების გაცემის პერიოდულობა და ოდენობა, ხოლო წლის განმავლობაში თანამშრომელზე გაცემული პრემიების შესახებ ინფორმაციის უშუალოდ ბრძანებებში მითითებას აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს. აუდიტორთა მიერ განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დასაბუთებაზე, რაც ბრძანების საფუძველში, კერძოდ, მოხსენებით ბარათში იქნა ასახული. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შეიძლება ცალკეულ ბრძანებაში (არც მოხსენებით ბარათში) არ არის აღნიშნული ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ, მაგრამ შედეგიდან გამომდინარე, თანამშრომელზე გაცემული პრემია არ აჭარბებს ზღვარს და გაცემულია კვარტალში ერთხელ. ამასთანავე, ბრძანება ხელმისაწვდომია და შესაძლებელია მისი გაცნობა.

**8.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 2.8. სახელმწიფო შესყიდვები, გვ.19-20) არსებულ ჩანაწერს, სამინისტროში ფაქტობრივად წარმოშობილი სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნურად დაყოფისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ვალდებულებისაგან თავის არიდების რისკის შესახებ. კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2017 წელს სამინისტროს მიერ ერთ დანაყოფის კოდზე 302 (კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები) განხორციელებულმა ცხრა სახელმწიფო შესყიდვამ (3 კონსოლიდირებული და 6 გამარტივებული), ჯამში 10,798.18 ლარის ოდენობით გადააჭარბა შესყიდვისთვის დადგენილ მონეტარულ ზღვარს. ვინაიდან, შესყიდვების ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო



ღირებულებების დაჯამებით მთლიანი თანხა გასცდა გამარტივებული შესყიდვისთვის მოქმედი კანონდებლობით გათვალისწინებულ ზღვარს - 5000 ლარს, ყველა შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო ტენდერის საშუალებით.

საჩივრის ავტორის განმარტებით, აუდიტის შეფასებები სამართლებრივ და ფაქტობრივ დასაბუთებას არის მოკლებული და მიუთითებს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, სამინისტრომ 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმა დაამტკიცა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2017 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2016 წლის 18 ნოემბრის N01/53 ბრძანებით. შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა განისაზღვრა 85000 ლარის ოდენობით. აქედან, CPV კოდი: 30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგები - გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 1650 ლარის ოდენობით; CPV კოდი: 30200000 - კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგები - კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, 3300 ლარის ოდენობით. სულ: 4950 ლარის ოდენობით. დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ იქნა კანონდებლობის შესაბამისად, კანონდებლობითვე დადგენილ ვადებში სამინისტროს რეალური საჭიროებების გათვალისწინებით. წინა წელს CPV კოდი შეადგენდა 4000 ლარს და არც არსებობდა მინიშნება თუ მოლოდინი მეტის საჭიროებაზე. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ გეგმა ფორმირებული და შედგენილი იყო კანონდებლობის შესაბამისად დადგენილ ვადებში, სამინისტროს რეალური საჭიროებების გათვალისწინებით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შესყიდვების გეგმის დამტკიცების შემდეგ ცვლილებები შევიდა „აფხაზეთის ა/რ 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ 2016 წლის 28 დეკემბრის კანონში, რის საფუძველზეც „აფხაზეთის ა/რ 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ა/რ 2016 წლის 28 დეკემბრის კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე (აფხაზეთის ა/რ კანონი N244-ს, 09.06.2017) დაზუსტდა, დაკორექტირდა და გაიზარდა სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების გეგმა და იგი განისაზღვრა 93 000 ლარის ოდენობით („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2017 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 18 ნოემბრის N01/53 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მინისტრის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება N01/36). შემდგომი ცვლილებების განხორციელებისას შესყიდვის გეგმა განისაზღვრა 99 800 ლარის ოდენობით („აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში 2017 წელს განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2016 წლის 18 ნოემბრის N01/853 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მინისტრის 2017 წლის 1 დეკემბრის ბრძანება N01/68).

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამინისტრომ, საკანონმდებლო ცვლილებებამდე 302 დანაყოფზე ზოგიერთი შესყიდვა განახორციელა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 1337.50 ლარის ოდენობით, ხოლო კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სტანდარტული კომპიუტერების შესყიდვა - 3411 ლარის ოდენობით, ნორმის შესაბამისად (მონეტარული ზღვრის ნორმა). შემდგომში, იმავე ან მისი შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტის დამატებით შესყიდვა აღნიშნულ კოდზე სამინისტრომ განახორციელა წლიური სახელმწიფო შესყიდვების ჯამური თანხის გაზრდის შემდგომ, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად - დაზუსტებული, გაზრდილი და დაკორექტირებული გეგმის მიხედვით, არა წინასწარ გათვალისწინებული სახსრებით, არამედ დამდგარი საჭიროებებიდან გამომდინარე. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული საჭიროებები წინასწარ არ და ვერ იქნებოდა გათვალისწინებული იმავე საბიუჯეტო წელს და ეს არ გულისხმობს ხელოვნურ დაყოფას. ამასთანავე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3<sup>1</sup> მუხლით - „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა გულისხმობს შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის რაოდენობის ან მოცულობის შემცირებას ან/და დაყოფას, როდესაც შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის წინასწარ ცნობილია, რომ იმავე საბიუჯეტო წლის განმავლობაში აუცილებელი გახდება იმავე ან მისი შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტის დამატებით შესყიდვა, და დამატებითი შესყიდვისათვის სახსრები წინასწარვეა გათვალისწინებული იმავე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში“.

საჩივრის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუდიტი მუდმივად აპელირებდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, „ჩ“ ქვეპუნქტით და ასევე მუდმივად გვერდს უვლიდა ამავე კანონის მე-9 მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის (შესყიდვების ხელოვნურად დაყოფა) მოთხოვნას. კერძოდ, ხელოვნური დაყოფაა, როდესაც წინასწარ ცნობილია (რომელსაც სჭირდება მტკიცებულება) შესყიდვის ობიექტის დამატებით შესყიდვა და დამატებითი შესყიდვისთვის სახსრები წინასწარვეა გათვალისწინებული იმავე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, რაც არ ყოფილა გათვალისწინებული სადავო შემთხვევაში.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სამინისტრო მოქმედებდა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, ცვლილების შემდგომ დაზუსტებული, გაზრდილი და დაკორექტირებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმის არსებობის პირობებში, დამდგარი საჭირო გარემოებებიდან გამომდინარე, სამინისტროს გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, ზემოთ მითითებულ დანაყოფზე ყოველი მომდევნო შესყიდვები განახორციელა იმავე საბიუჯეტო წელს. ვინაიდან, სამინისტროს შესყიდვების წლიურ გეგმაში აღნიშნული შესყიდვის ობიექტის შესყიდვაზე მითითებული ჰქონდა სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე და იგი სხვა გადაწყვეტილებას ვეღარ მიიღებდა, ვალდებული იყო დაეცვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის მოთხოვნები და ერთგვაროვანი შესყიდვები განხორციელებინა არა მის მიერ შერჩეული თუ გამოვლენილი პირისაგან, არამედ კანონქვემდებარე აქტით დადგენილი წესით გამოვლენილ მიმწოდებელთან (სახელმწიფოს მიერ კონსოლიდირებული ტენდერით გამოვლენილი), რომლის დროსაც ვლინდება საუკეთესო ფასი. მხოლოდ ამის შემდგომ, აღნიშნული კოდიტ განხორციელებულმა სახელმწიფო შესყიდვებმა ჯამში შეადგინა 10798.18 ლარი, თუმცა აუდიტის არც პირველად და არც დამტკიცებულ ანგარიშში, ზემოაღნიშნული ნახსენებიც კი არ არის. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ სამინისტროს დადანაშაულება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, უსაფუძვლოა.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში ასახულ მოსაზრებას „რისკის წარმოშობასთან“ დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ პირველად ანგარიშში აუდიტორი უთითებდა, რომ სამინისტროში ფაქტობრივად „მოხდა“ სახელმწიფო შესყიდვების ხელოვნური დაყოფა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების ვალდებულებისაგან თავის არიდება. დამტკიცებულ ანგარიშში სიტყვა „მოხდა“ შეიცვალა „რისკის წარმოშობით“ და აღნიშნულზე რეკომენდაციაც კი ვერ გასცა, თუმცა რისკი დატოვა, როგორც გამოვლენილი გარემოება.

საჩივრის ავტორი აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ რისკი არის შეფასებითი კატეგორია და გაუმართლებელია აუდიტის სამსახურმა სავარაუდო შეფასებებით და ჰიპოთეზური შედეგის დადგომით დაადანაშაულოს სამინისტრო რაიმე სახის დარღვევაში იმგვარად, რომ არ ჰქონდეს გაანალიზებული ამა თუ იმ ქმედების შედეგი და ამ ქმედებით გამოწვეული ზიანის დასაბუთება.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში ასახულ მოსაზრებას ინტერნეტმომსახურების წინასწარ დაგეგმვისა და მისი სატენდერო პროცედურების საშუალებით განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ, აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, სამინისტროს წინაშე არ იდგა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მოტივით ინტერნეტმომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების აუცილებლობა და შესყიდვამდე მიღებული გადაწყვეტილება არ შეთანხმებულა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. ამასთანვე განმარტავენ, რომ ინტერნეტმომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით



განხორციელების შესაძლებლობა დადგენილია. საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის N1805 განკარგულებით, რომელიც გამოცემულია 2012 წელს მოქმედი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

საჩივრის ავტორის განმარტს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელება დადგინდა საქართველოს პრეზიდენტის ან/და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით (განკარგულების მიღების დროს მოქმედი რედაქციით). ამასთანავე, 2012 წელს მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დასაბუთების ვალდებულებას შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან, რის განმარტებასაც ითხოვს აუდიტი ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლისა და განკარგულების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფილად შესწავლის გარეშე.

საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სამინისტროს ნორმის მოთხოვნა არ დაურღვევია და მის მიერ 2014-2015-2016 წლებში ცალკ-ცალკე დადებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა არ აღემატებოდა ერთ წელს. ამასთანავე, ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წლების განმავლობაში არ ყოფილა მითითება განსხვავებული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით შემსყიდველი ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობა ზემოაღნიშნულის მიხედვით ახორციელებდა ამ სახის წლიურ შესყიდვას (ინფორმაცია საჯაროა) და თუ ეს კანონდარღვევაა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა, უნდა მოეხდინა შესაბამისი რეაგირება.

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ყურადსაღებია „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის დანაწესი, რომელიც ადგენს, რომ „ამ წესის ამოქმედებამდე გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები ინარჩუნებს ძალას“. შესაბამისად, ვინაიდან განკარგულება მიღებულია 2012 წელს მოქმედი კანონის საფუძველზე და დღემდე ინარჩუნებს ძალას, ხოლო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, რომელიც ადგენს გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებს და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესს, გაკეთებულია დათქმა, რომ წესის ამოქმედებამდე მიღებული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებენ ძალას, ახალი კანონით დაწესებული პირობა - შესყიდვის განხორციელებამდე მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეუთანხმდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს - არ შეიძლება განიმარტოს შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესების საზიანოდ და მიეცეს უკუძალა.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში ასახულ მოსაზრებას, რომ სამინისტრომ ინტერნეტმომსახურების შესყიდვაზე არ ჩაატარა ბაზრის კვლევა და წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაციით ვერ დადასტურდა ჩატარებული კვლევის „ობიექტურობა“, „საიმედობა“ და ფასის კლებასთან დაკავშირებით - „რეალური ვაჭრობის“ არსებობა. ავტორი ასევე განმარტავს, რომ სამინისტრო ყოველთვის თვალყურს ადევნებს ბაზარზე ფასების განვითარების დინამიკას. ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სასარგებლო წყაროს წარმოადგენს ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უახლოეს წარსულში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, ინტერნეტში განთავსებული სხვა ინფორმაცია, ასევე მიმწოდებლების კატალოგებისა თუ პრეისკურანტებში დაფიქსირებული ფასები, ცნობილია შესაბამის ბაზარზე ოპერირებადი, პოტენციური მომწოდებლების ვინაობა. ამასთანავე, ბაზრის ინტენსიური კვლევა რეკომენდებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას ნაკლებად გააჩნია ანალოგიური შესყიდვების განხორციელების გამოცდილება.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამინისტრომ ჩაატარა ბაზრის კვლევა ინტერნეტმომსახურების შესყიდვაზე. ვინაიდან შპს „მაგთიკომის“ ფასი სამინისტროსთვის ისედაც ცნობილი იყო (ის იყო მიმწოდებელი 2016 წელსაც), მიმართა სს „სილქნეტს“ და მოსთხოვა ფასები, რაზედაც მიიღო წერილობითი პასუხი შეთავაზებულ ფასებზე: „გლობალი“ - 20 მბ/წმ და „ლოკალი“ - 100 მბ/წმ - 900 ლარად და მიიღო უმცირესი ფასი: „გლობალი“ - 30 მბ/წმ და „ლოკალი“ - 100 მბ/წმ - 840 ლარად. ვაჭრობის შედეგად მიღებულ იქნა შედეგი ფასების კლებაზე და შეიძლებოდა ტენდერით ის შედეგიც არ დამდგარიყო, რაც სამინისტრომ რეალურად მიიღო, თუმცა სამინისტროს, „რეალური ვაჭრობის“ ვალდებულება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელებისას არ ჰქონდა. ამდენად, საჩივრის ავტორისათვის გაუგებარია აუდიტის ექვი ბაზრის კვლევის ობიექტურობის, საიმედოობისა და ფასების კლებასთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ აუდიტორთა ჯგუფი, ერთი მხრივ, აფიქსირებს, რომ სამინისტროს არ ჩაუტარებია ბაზრის კვლევა და მეორე მხრივ, ყურადღების მიღმა ტოვებს იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების გაფორმება მოხდა უფრო დაბალ ფასად, ვიდრე ეს იყო ბაზარზე და ამ კუთხით საბიუჯეტო სახსრები ეფექტიანად და ეკონომიურად დაიხარჯა. ამდენად, საჩივრის ავტორისთვის გაუგებარია, რატომ ვერ აკონკრეტებს აუდიტის სამსახური რაში გამოიხატება სამინისტროს მხრიდან საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვა და მიაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიან და არაეკონომიურ ხარჯვასთან დაკავშირებით არ არის არგუმენტირებული და იგი ემყარება მხოლოდ ვარაუდს.

**9.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში (პუნქტი 2.9. საბიუჯეტო დეფიციტის მართვა, გვ. 21) არსებულ ჩანაწერს, რომ სამინისტრომ არ გაითვალისწინა საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები, რაც მიუთითებს სამინისტროს მხრიდან მოქმედი ნორმატიული და ქვენორმატიული აქტების მოთხოვნებისადმი არაადეკვატურ დამოკიდებულებაზე.

საჩივრის ავტორის განმარტებით, „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N442 განკარგულების პირველი მუხლის შესაბამისად, საქართველოს სამინისტროები, სახელმწიფო მინისტრების აპარატები და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ის მხარჯავი დაწესებულებები, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის კონტროლს, ვალდებულნი არიან შეასრულონ ამ განკარგულებით დადგენილი პირობები. ამავე განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტები კი ადგენს იმ ორგანოთა ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც განკარგულებას არ აქვს მავალდებულებელი და მბოჭავი ხასიათი. მათ შორის არის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებიც. საქართველოს მთავრობა განკარგულებით უწესებს იმპერატიულ მოთხოვნებს საქართველოს სამინისტროებს, სახელმწიფო მინისტრების აპარატებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ მხარჯავ დაწესებულებებს, ხოლო ავტონომიური ორგანოებისათვის აკეთებს შეთავაზებას, მიიღონ ესა თუ ის ნორმა, გაითვალისწინონ და შესაბამისი მოქმედებები განახორციელონ მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საჩივრის ავტორი თვლის, რომ ზემოაღნიშნული განკარგულების რომელიმე ნორმა მბოჭავ ხასიათს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის ორგანო თავად შეიზღუდავს თავს აღნიშნული განკარგულებით და განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. ანალოგიურად, ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებისათვის სავალდებულო ხასიათის არ არის დანართით განსაზღვრული ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის პრინციპების გათვალისწინება 2016 და 2017 წლების ბიუჯეტების დაგეგმვის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მოითხოვს გათვალისწინებულ იქნეს მისი არგუმენტაცია და გატარდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ზომები ანგარიშში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

**მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:** სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იქნა მოსაზრებები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჩივართან დაკავშირებით, რომლის მიხედვით საჩივრის მოთხოვნა აუდიტის ანგარიშის 1.2.1.1; 1.2.2; 1.2.3; 2.2.2; 2.5; 2.6.1; 2.6.2; 2.8 და 2.9 პუნქტების შეცვლის თაობაზე დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

## სამოტივაციო ნაწილი

საჩივრის გაცნობის, საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და შემოწმების, გამოცხადებული მხარეების მოსაზრებების მოსმენის, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შეფასების, ამ გარემოებათა ურთიერთშეჯერების, საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გაანალიზებით, პრეზიდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2018 წლის 29 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი N290/02 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N5666/29; 29.06.2018) ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. შენობა-ნაგებობების სახანძრო სიგნალიზაციით აღჭურვაზე გაწეული ხარჯის აღრიცხვის საკითხთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 1.2.1.1 – „სახანძრო სიგნალიზაცია/კაპიტალური ხარჯი“, გვ. 7) პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად (მე-5 თავი, „არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებები“), შენობა-ნაგებობების (3111) კატეგორია მოიცავს შენობა-ნაგებობების ღირებულებას, აგრეთვე ყველა მოწყობილობის, აპარატურისა და ხელსაწყოების ხარჯებს, რომლებიც ამ შენობა-ნაგებობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ამასთანავე „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანების 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-14, მე-15 პუნქტების და მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ძირითადი აქტივების მიღებად ითვლება არსებული აქტივების არსებითი გაუმჯობესება - განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფიზიკურად ფუნქციონირებენ, როგორც არსებული აქტივის ნაწილები. შესაბამისად, ყველა ის ხარჯი, რომელიც არ იწვევს შენობა-ნაგებობის არსებით გაუმჯობესებას, ასევე არ წარმოადგენს შენობა-ნაგებობის განახლებას, რეკონსტრუქციას ან გაფართოებას, რომელიც აუმჯობესებს აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, ზრდის მოცულობას და მწარმოებლურობას ან მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადას, არ ზრდის ძირითადი აქტივის ღირებულებას.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N672 ბრძანების შესაბამისად, სახანძრო სიგნალიზაცია არის სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული (3112220).

ამასთანავე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002

წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის N1 დანართით (შიფრი N4167) გათვალისწინებულია სახანძრო სიგნალიზაციის ცვეთის წლიური ნორმა 10%-ის ოდენობით, რაც 10-ჯერ აღემატება იმ შენობის ცვეთის წლიურ ნორმას, რომლის განუყოფელ ნაწილადაც მოიაზრებს საჩივრის ავტორი ზემოაღნიშნულ სახანძრო სიგნალიზაციას, ვინაიდან სახანძრო სიგნალიზაციის ღირებულების შენობაზე დამატების შემთხვევაში, ცვეთაც განისაზღვრება შენობა-ნაგებობის ცვეთის წლიური ნორმით – 1%-ის ოდენობით. ამავე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „თუ ძირითადი აქტივის შემადგენელ ნაწილებს გააჩნიათ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება სხვადასხვა დროს, ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის საჭიროა მათი ცალ-ცალკე აღრიცხვა (თუ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს), გაწეული საერთო დანახარჯების განაწილება მის შემადგენელ ნაწილებზე და ცვეთის დარიცხვის განსხვავებული ნორმების გამოყენება“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახანძრო სიგნალიზაციის აღრიცხვა უნდა განხორციელდეს ცალკე აქტივად და მასზე ცვეთის დარიცხვა – მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**2.** მატერიალური მარაგების საკითხთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 1.2.2 – მატერიალური მარაგები, გვ. 9-10) პრეზიდენტი მიუთითებს, რომ არ არსებობს ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან არც აუდიტის პროცესში და არც საჩივრის განხილვისას, არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა 8 427,71 ლარის მატერიალური მარაგების კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით ხარჯებში ჩამოწერის ფაქტს.

„ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით განსაზღვრულია მატერიალური მარაგების არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის, ასევე მატერიალური მარაგების მიღების და გასავლის წესი, რომლის თანახმად, არაფინანსური აქტივების მიღება და გასვლა უნდა ფორმდებოდეს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ხელმოწერით დადასტურებული დოკუმენტებით, ხოლო ბუღალტერია პასუხისმგებელია დროულად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღრიცხოს აღნიშნულის მიღება და გასვლა კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ფორმებში. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით ვერ დგინდება ზემოაღნიშნული ნორმების დაცვით მარაგების ხარჯებში გატარების ფაქტი. შესაბამისად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

**3.** ავტომანქანის ექსპლუატაციის ხარჯის საკითხთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 1.2.3; გვ. 10) საჩივრის ავტორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ავტომანქანებზე საბურავების დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ვერ დგინდება, რომ აღნიშნული ხარჯი მიუკუთვნებოდა სამინისტროს საკუთრებაში არსებული ავტომანქანების მოვლა-შენახვის ხარჯებს. ამდენად, პრეზიდენტი ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**4.** უძრავი ქონების მიზნობრივი გამოყენების საკითხთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.2.2; გვ. 14 -15) პრეზიდენტი ეთანხმება ფინანსური აუდიტის ანგარიშში მოცემულ მოსაზრებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების (მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მიწის ნაკვეთები: სოფელ რუხში - 321,76 ჰა (ს/კ N43.10.06.036) და სოფელ რიყეში - 9,51 ჰა (ს/კ N43.10.06.240); ასევე გარდაბნის რაიონის სოფელ ვაზიანში სამხედრო ქალაქის N1 მდებარე 513 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები) არაეფექტიანად გამოყენების შესახებ, შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) აუდიტორული შეფასება ეფუძნება მსჯელობას იმის შესახებ, რომ წლების განმავლობაში სამინისტროს სარგებლობაში არსებული მიწები – სოფელ რუხსა და სოფელ რიყეში, ფაქტობრივად დაუტვირთავი იყო და არ მომხდარა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ საჩივრის ავტორი არ უარყოფს (როგორც საჩივარში, ისე ზეპირი განხილვისას) ფაქტს, რომ ეს მიწები დღეის მდგომარეობითაც გამოუყენებელია. ამასთანავე, ამ საკითხზე საჩივრის ავტორის განმარტებით წლების განმავლობაში იყო მცდელობა მოეყვანათ სიმინდი, რაც ვერ მოხერხდა მიწის უნაყოფობის გამო, სამინისტროს მიერ ღონისძიებების დაგეგმვის ნაკლოვანებაზე მიუთითებს. საგულისხმოა ისიც, რომ საჩივრის ავტორმა ვერც კონკრეტული ხედვა/გეგმა წარმოადგინა აღნიშნული მიწების სამომავლოდ გამოყენებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ მიწის ნაკვეთები გადაეცათ ყოველგვარი პირობების გარეშე, პრეზიდენტი მიუთითებს აფხაზეთის ა/რ-ის ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის 28 იანვრის N71 წერილზე, რომლის შესაბამისად, აღნიშნული მიწების გადმოცემის მოთხოვნის არგუმენტად სამინისტროს მიერ მოყვანილი იყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებისა და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ბიზნესპროექტების განხორციელება.

ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან სარგებლობაში გადაცემულ სოფ. ვაზიანში, სამხედრო ქალაქ N1-ში მდებარე 513 კვ.მ მიწის ნაკვეთთან და მასზე დამაგრებულ შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ასევე აღნიშნავს, რომ აუდიტის მასალებში დაცული დოკუმენტაცია, აგრეთვე საჩივრის ავტორის მიერ ამ საკითხზე მოცემული განმარტებები, მიწების გამოყენების დაგეგმვის არსებით სისუსტეებზე მიუთითებს და ადასტურებს ანგარიშში ასახული ფაქტის სისწორესა და შეფასების საფუძვლიანობას.

**5.** რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.5; გვ.16-17) აუდიტის მასალებში არსებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილი საწარმოების, რომლის 100%-იან წილსაც მართავს აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2016 წლის მოგების რეინვესტირების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2017 წლის 19 მაისის N01/33 ბრძანების თანახმად, სამინისტროს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 93196 ლარის რეინვესტირების შესახებ, მაგრამ ფაქტობრივად, აპრილში განხორციელებული დაბეგვრის გამო, რეინვესტირებულ იქნა 79,216.00 ლარი, რაც მართვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

ამასთანავე, სამინისტროს მიერ 100%-იანი წილით შექმნილ შპს-ებს რეინვესტირებული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი აქვთ მხოლოდ 53,761.00 ლარზე (შესყიდვების ანგარიშფაქტურები), რომლის შესაბამისად, რეინვესტირებული თანხებიდან ძირითადად დაფარულია ისეთი ხარჯები, როგორცაა, საბრუნავი საშუალება, სარემონტო სამუშაოები, საოფისე ინვენტარი. საგულისხმოა ასევე, რომ რეინვესტირებული თანხების განკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტები 2017 წელს სამინისტროსათვის წარდგენილი ჰქონდა მხოლოდ 3 შპს-ს, ხოლო დანარჩენი შპს-გან ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოთხოვილ იქნა აუდიტის მოთხოვნის საფუძველზე.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მიუთითებს სამინისტროს მხრიდან რეინვესტირებულ თანხებთან დაკავშირებით მონიტორინგის არასათანადოდ განხორციელებაზე. შესაბამისად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

**6.** დანამატის გაცემასთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.6.1; გვ.18) პრეზიდენტი მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამატებითი ფუნქციის დაკისრება დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და არსობრივად ისეთი გარემოებების შექმნას უკავშირდება, რაც ობიექტურად აუცილებელს ხდის, საჯარო დაწესებულების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი ფუნქციის მოხელისათვის დაკისრებას.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება აუცილებელი საჭიროებისა და შესრულებული სამუშაოს რეალურობა. ასევე საგულისხმოა მოხელისათვის ამ ფუნქციის დაკისრების ინტენსივობის საკითხი – ყოველთვიური (აპრილის თვის გარდა) დატვირთვა წლის განმავლობაში და ის გარემოება, რომ მოხელის პოზიციის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, თანამდებობის მიზანია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რისთვისაც სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქციების, მათ შორის, ამ მიზნის შესაბამისი ხელმძღვანელის დავალებების შესრულება ეკისრება.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დასტურდება დანამატის გაცემის საფუძვლიანობა.

**7.** პრემიის გაცემის პერიოდულობის დასაბუთებასთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.6.2; გვ.18) აუდიტორული შეფასება ეფუძნება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N39 დადგენილებას, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პრემია გაიცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და დასაბუთების საფუძველზე. დასაბუთებაში, თავის მხრივ, უნდა მიეთითოს ინფორმაცია მიმდინარე წლის განმავლობაში პირზე გაცემული პრემიის შესახებ.

საჩივრის ავტორი თავადვე აღნიშნავს, რომ ცალკეულ შემთხვევებში აღინიშნებოდა ზემოთ აღნიშნული ნორმატიული დანაწესის დაუცველობის ფაქტებს, თუმცა იმის გამო, რომ ფაქტობრივ შედეგზე ამას გავლენა არ მოუხდენია, ითხოვს ანგარიშში ცვლილების შეტანას.

პრეზიდენტს უსაფუძვლოდ მიაჩნია საჩივრის ავტორის პოზიცია და ყურადღებას ამახვილებს რისკების შემცირების მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების გასაუმჯობესებლად ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების დაცვის აუცილებლობაზე.

**8.** სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.8; გვ.19-20) პრეზიდენტი აღნიშნავს:

ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ერთი დაფინანსების წყაროდან შესყიდვის ხელოვნურად შემცირებული რაოდენობით ან/და მოცულობით განხორციელება ან სხვა ქმედება, რომლის მიზანია ამ კანონით და მის შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მონეტარული ზღვრებისა და სხვა მოთხოვნებისათვის თავის არიდება. ამავე კანონის მე-9 მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, ხელოვნურად დაყოფას ადგილი აქვს, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წინასწარ ცნობილია, რომ იმავე საბიუჯეტო წლის განმავლობაში აუცილებელი გახდება იმავე ან მისი ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის დამატებით შესყიდვა და ამისათვის სახსრები წინასწარვე გათვალისწინებული იმავე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შესყიდვების წლიურ გეგმაში ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული. აღნიშნული წარმოადგენს ობიექტურ პირობას, რომლის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, არ განიხილება, როგორც ხელოვნურად დაყოფა.



საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 ნოემბრის N2334 განკარგულების და „სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლის 15 დეკემბრის N12 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების 2017 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ ყველა შემსყიდველ ორგანიზაციას დაევალა 2017 წელს პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების (სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პარამეტრების მქონე) შესყიდვა განხორციელებინა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის N515 განკარგულების და „უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2017 წლის 30 მარტის N9 ბრძანების საფუძველზე შემუშავებული უწყვეტი კვების წყაროების კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით, შემსყიდველ ორგანიზაციებს ვალდებულებად განესაზღვრათ 2018 წლის 1 აპრილის ჩათვლით, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული უწყვეტი კვების წყაროების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებინათ მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ არ დგინდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ 2017 წელს კლასიფიკატორის 30200000 (კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები) კოდზე განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შეუსაბამობა მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან.

**ბ) ინტერნეტ მომსახურების შესყიდვის საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების განხორციელება დადგინდა საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების ან/და ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სხვა სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში – ასევე ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების სამართლებრივი აქტებით.**

საჩივრის ავტორი აპელირებს „საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულებაზე და აღნიშნავს, რომ ეს განკარგულება, როგორც მთავრობის მიერ გაცემული თანხმობა, აძლევდა შესაძლებლობას განხორციელებინა ინტერნეტ- მომსახურების შესყიდვა გამარტივებული წესით. პრეზიდენტი მიუთითებს, რომ ამ განკარგულებით საქართველოს მთავრობა გასცემს თანხმობას გამარტივებულ შესყიდვაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების აუცილებლობა. საჩივრის ავტორს კი, აღნიშნული აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, არც აუდიტის პროცესში და არც საჩივრის განხილვისას, არ წარმოუდგენია.

რაც შეეხება ბაზრის არასათანადო კვლევასთან დაკავშირებით საჩივარში დაფიქსირებულ პრეტენზიას, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდება,

რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შესყიდვის წინამოსამზადებელ პერიოდში განხორციელდა ბაზრის სათანადო გამოკვლევა (პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და სამინისტროსათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორის მოსაზრება ამ ნაწილში საფუძველს მოკლებულია.

**9.** საბიუჯეტო დეფიციტის მართვის საკითხთან დაკავშირებით (ფინანსური აუდიტის ანგარიშის პუნქტი 2.9; გვ.21) პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის N422 განკარგულების გამოცემა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოს ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საგარეო ფაქტორებმა და რეგიონში არსებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ, მათ შორის, მნიშვნელოვნად შემცირდა ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული მაჩვენებლები, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა საქართველოს ძირითად ეკონომიკურ და ფისკალურ მაჩვენებლებზე. აღნიშნული განკარგულებით საქართველოს სამინისტროებს, სახელმწიფო მინისტრების აპარატებს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ იმ მხარჯავ დაწესებულებებს, რომლებიც ექვემდებარებიან საქართველოს მთავრობის კონტროლს, დაევალით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებს და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს ეთხოვათ ამ განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება, მათ შორის, ადმინისტრაციული ხარჯებისა და ზოგიერთი ღონისძიებების დაფინანსების შემცირება, კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლით 2017 წელს გაწეული ხარჯი არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის საკასო ხარჯზე მეტი, ხოლო მოხმარებული საწვავის ხარჯი 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ისა.

აუდიტის მასალებიდან დგინდება, რომ სამინისტროს მიერ 2017 წელს შრომის ანაზღაურება ჯამში გაიზარდა 2%-ით, ხოლო საწვავის ხარჯები შემცირდა 23%-ით.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დგინდება, თუ რა საფუძველით ვერ იქნა გაზიარებული ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებული მიდგომები. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზია ამ ნაწილში უსაფუძველოა.

### სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით,

### სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდენტმა გადაწყვიტა:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 29 ივნისის N290/02 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი: N5666/29) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

1. აუდიტის ანგარიშის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება 2017 წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ კლასიფიკატორის 30200000 (კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები) კოდით დადგენილი სახელმწიფო შესყიდვების საკითხს, განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება.

2. სხვა ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვას უარი.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
პრეზიდენტის სხდომის თავმჯდომარე**

**ერეკლე მექვაბიშვილი**  
გენერალური აუდიტორი



**დავით გოგიჩაიშვილი**  
გენერალური აუდიტორის მოადგილე



**ნატო ზაალიშვილი**  
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



**ზაზა შეყილაძე**  
სოციალური სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი




სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,  
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
სოფიო დვალიშვილი



**თორნიკე შერმადინი**  
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / საერთო  
დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
გიორგი კეკელიშვილი



გაჩეჩილაძე გიორგი

დეპარტამენტის უფროსი

ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და

ადმინისტრირების დეპარტამენტი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სახელმწიფო

ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი

მარიკა ნაცვლიშვილი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ინფორმაციული

ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების

დეპარტამენტი / ინფორმაციული ტექნოლოგიების

აუდიტის სამსახური

სამსახურის უფროსი

დავით შავგულიძე

